ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-18

2011 წლის 17 მარტი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „მობიტელ“-ზე ქობულეთში რუსთაველის ქუჩა №26–ში მდებარე შენობის ნაწილის დროებით სარგებლობაში იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პ.გ“ ქვეპუნქტისა და „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ნოემბრის №21 დადგენილების შესაბამისად:

1. შ.პ.ს. „მობიტელ“-ს გამოეყოს ფართი (12.0 მ^2) ქობულეთი რუსთაველის ქუჩა №26-ში მდებარე შენობაში საბაზო სადგურის განსათავსებლად.
2. საიჯარო ქირა განისაზღვროს ყოველთვიურად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.
3. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს 2012 წლის 1 იანვრამდე.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი).
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე